საკანონმდებლო მაცნე

მაისი 2023
[NO.5] www.bdo.ge

# ცვლილება კანონში

**შინაარსი** ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში
2023 წლის 5 აპრილის კანონის მიხედვით

2023 წლის 18 აპრილს გამოქვეყნდა 2023 წლის 5 აპრილს შედგენილი საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 19 აპრილიდან და მოქმედებს ამავე თარიღიდან განხორციელებულ ოპერაციებზე.

ცვლილება შეეხო თითქმის ყველა გადასახადს და ზოგად და ადმინისტრაციულ საკითხებს. კერძოდ:

## ხანდაზმულობის ვადა

სსკ-ის მე-4 მუხლის მე-10 ნაწილს, რომელიც არეგულირებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის შეჩერების შემთხვევებს, დაემატა ახალი „დ-ვ“ ქვეპუნქტები. ცვლილების თანახმად ჩერდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების ხანდაზმულობის ვადა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულების ან  საგადასახადო შეთანხმების აქტის მოქმედების პერიოდში.

ეს ვადა ჩერდება აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ან შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შემთხვევაში. ასევე, შეიცვალა ამავე მუხლის მე-11 ნაწილი და ცვლილების თანახმად, სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდის გარდა, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა არ გავრცელდება ცრუმაგიერი პირის მიმართ გასატარებელ ღონისძიებებზეც.

## საერთაშორისო კომპანია

სსკ-ის 23-ე მუხლის  მე-3 ნაწილში შესული ცვლილების შედეგად საერთაშორისო კომპანიის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული არ არის, იწვევს მისთვის საერთაშორისო კომპანიის სტატუსის გაუქმებას არა ამ სტატუსის მინიჭების თარიღიდან, როგორც ეს ცვლილებამდე იყო განსაზღვრული, არამედ ამ საქმიანობის დაწყების წლის 1 იანვრიდან.

## დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება

ასევე, ცვლილება შეეხო სსკ-ის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილს, რომლის მიხედვითაც შეიცვალა საგადასახადო/დავის განმხილველი ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების წესი. აღნიშნულ პირებს უფლება ექნებათ დოკუმენტი საჯაროდ გაავრცელონ, თუ გადასახადის გადამხდელი (გარდა ფიზიკური პირისა), საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ავტორიზებული მომხმარებლის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში არ გასცნობია. გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირთან მიმართებაში ძალაში რჩება ცვლილებამდე არსებული წესი, რომელიც საერთო იყო ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, კერძოდ, ამ წესის მიხედვითაც დოკუმენტი საჯაროდ გამოქვეყნდება იმ შემთხვევაში, თუ პირს ორჯერ მაინც გაეგზავნა/წარედგინა დოკუმენტი წერილობითი ფორმით და ადრესატისთვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა და ასევე, თუ პირი არ არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებელი ან ადრესატი დოკუმენტს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30 დღის განმავლობაში არ გასცნობია.

## საგადასახადო მოთხოვნა

ასევე, ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 64-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო მოთხოვნას და მისი წარდგენის წესს. ცვლილების თანახმად უქმდება აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც  წარდგენის კონკრეტული საფუძვლით პირს წარედგინებოდა მხოლოდ ერთი საგადასახადო მოთხოვნა. აღნიშნული ნაწილის გაუქმების შესაბამისად, საგადასახადო ორგანო შეძლებს გამიჯნოს საგადასახადო შემოწმების შედეგების მიხედვით დარიცხული თანხები და გამოსცეს რამდენიმე საგადასახადო მოთხოვნა, იმის მიხედვით თუ რა ნაწილში ეთანხმება ან არ ეთანხმება დარიცხვას გადასახადის გადამხდელი, რაც ემსახურება სადავო შემთხვევების შემცირებას და გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებას.

## ცალკეულ შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 73-ე მუხლში, რომელიც არეგულირებს ცალკეულ შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრას. კერძოდ, შეიცვალა აღნიშნული მუხლის მე-8 ნაწილი, რომელიც ბარტერული ოპერაციის ღირებულების შემცირებულად ჩვენებისას უფლებას ანიჭებდა საგადასახადო ორგანოს, ამ ოპერაციის მიმართ გამოეყენებინა საბაზრო ფასი. ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ საბაზრო ფასის გამოყენების პირობებს და წესებს განსაზღრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ცვლილების შედეგად, აღნიშნული 73-ე მუხლის მე-9 ნაწილს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, დღგ-ისგან თავის არიდების პრევენციის მიზნით, საგადასახადო ორგანოს ენიჭება უფლება, ერთ  დასაბეგრ პირად (მათი ფორმალური/იურიდიული დამოუკიდებლობის მიუხედავად) განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული ნებისმიერი რამდენიმე პირი, თუ მათ საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ერთი და იგივე პირი და მათი საქმიანობის ადგილი, სახე და შინაარსი იდენტურია. ამ უფლების გამოყენების წესსაც განსაზღვრას საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

## საშემოსავლო გადასახადის შეღავათის გამოყენების წესი

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კოდექსის 82-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის შესაბამისად, საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავალზე შეღავათის (მაგალითად, ვეტერანების, შშმ პირების, მარტოხელა მშობლის და ა.შ.) გამოყენების წესს დაადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. შესაბამისად, დაქირავებული პირს აღარ ექნება ვალდებულება, რომ საგადასახადო შეღავათის გამოყენების მიზნით, დამქირავებელს წარუდგინოს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა.

## მცირე ბიზნესის სტატუსი

ცვლილება განხორციელდა 89-ე მუხლში, რომელიც ეხება მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებას. ცვლილების შესაბამისად, თუ პირი, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მიზნით თავად მიმართავს საგადასახადო ორგანოს, სტატუსი გაუქმებულად ჩაითვლება მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. საგადასახადო კოდექსის წინა რედაქციით, პირს, პირადი განცხადების საფუძველზე მცირე ბიზნესის სტატუსი უუქმდებოდა კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან.

## დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

ასევე, ცვლილების თანახმად, 165-ე მუხლს, რომელიც ეხება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას, დაემატა ახალი 7[1] ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

## დღგ-ისგან და აქციზისგან გათავისუფლება

ცვლილებები განხორციელდა სსკ-ის 173-ე (საქონლის იმპორტის დღგ-ისგან გათავისუფლება) და 194-ე (აქციზისაგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესები) მუხლებში. კერძოდ, ცვლილებამდე საქართველოს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის (მანამდე ექსპორტირებული და შემდეგ იმპორტის გზით 3 წლის ვადაში იმავე მდგომარეობაში შემოტანილი) იმპორტი თავისუფლდებოდა დღგ-ისგან და აქციზისგან იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი გათავისუფლებული იქნებოდა იმპორტის გადასახადისგან. ცვლილებით განისაზღვრა, რომ დღგ-ისგან და აქციზისგან ასეთი ტიპის საქონლის გათავისუფლება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ პირობებს აკმაყოფილებს, მიუხედავად იმისა იბეგრება თუ არა იმპორტის გადასახადით.

სსკ-ის 173-ე და 194-ე მუხლებში შესული ცვლილებით ასევე დამატებით გათავისუფლდა გარე გადამუშავებაში მოქცეული უსასყიდლოდ გადამუშავების (სახელშეკრულებო, საგარანტიო ვალდებულებიდან გამომდინარე ან საწარმოო დეფექტის გამო) შედეგად მიღებული პროდუქტის იმპორტი, თუ აღნიშნული საქონელი აკმაყოფილებს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობებს, მიუხედავად იმისა იბეგრება თუ არა იმპორტის გადასახადით.

## აქციზის განაკვეთები

ცვლილება შეეხო სსკ-ის 188-ე მუხლს, რომელიც ადგენს აქციზის განაკვეთებს. შეიცვალა ზოგიერთ საქონელზე განსაზღვრული აქციზის განაკვეთი, მაგალითად 0.2 ლარიდან 1 ლარამდე გაიზარდა ელექტრონული სიგარეტისთვის გამოსაყენებელი სითხეების ყოველ 1 მლ-ზე.

## საგადასახადო სამართალდარღვევა

ასევე, ცვლილებების შედეგად განისაზღვრა საგადასახადო სამართალდარღვევის კიდევ ერთი სახე - დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა (მუხლი 288[5].), რაც დაქირავებულ პირთა რეესტრში არასწორი/არასრული ინფორმაციის შეტანისათვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომას თითოეულ დაქირავებულ პირზე 200 ლარის ოდენობით. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სამართალდარღვევისთვის ცვლილებამდე პერიოდში გამოიყენებოდა სსკ-ის 291-ე მუხლით დადგენილი სხვა ჯარიმა (100 ლარი), რომელიც ერთჯერადად ვრცელდებოდა ჯამურად გამოვლენილ ხარვეზებზე.

## ფულადი სანქციის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენება

ცვლილება განხორციელდა ამავდროულად 270-ე მუხლის მე-7 ნაწილში, რომლის მიხედვითაც იზრდება საგადასახადო სამართალდარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ნაცვლად გაფრთხილების გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, ჩამონათვალს ემატება საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით (გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა) გათვალისწინებულ სამართალდარღვევის და ახალი 288[5] მუხლით (დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტები. ფულადი სანქციის ნაცვლად შესაძლოა გამოყენებულ იქნას წერილობითი გაფრთხილება თუ სამართალდარღვევის პირველად ჩადენის ფაქტია სახეზე.

## საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა

ცვლილება განხორციელდა 286-ე მუხლში, რომელიც ეხება საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირებას, რეალიზაციასა და აღურიცხველობას. კერძოდ, მე-5 ნაწილს დაემატა ახალი შინაარსის ქვეპუნქტები, რომლის საფუძველზეც, ჩვეულებრივი სასაქონლო ზედნადებით ხე-ტყის ტრანსპორტირება/მიწოდება ჩაითვლება სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებად/მიწოდებად, რაც იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ან 10,000 ლარიანი ფულადი სანქციით და ამავდროულად, საქონლის ჩამორთმევით.

## დაშლილი საზოგადოება

მოცემული საკანონმდებლო ცვლილებით სსკ-ის მე-8 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს და ცნებებს, დაემატა ახალი 56-ე ნაწილი, რომლის მიხედვითაც განიმარტა დაშლის პროცესში მყოფი პირის მნიშვნელობა 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) არის პირი (გარდა ფიზიკური პირის მიერ დაარსებული ფილიალისა, რომელიც არის მეწარმე ფიზიკური პირი), რომლის მიმართაც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა დაშლის პროცესის დაწყების რეგისტრაცია (რომლის ლიკვიდაციის პროცესიც მიმდინარეობს).

მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად სამეწარმეო საზოგადოების დაშლის რეგისტრაცია იწვევს სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას. სამეწარმეო საზოგადოების დაშლა და ლიკვიდაცია ეს არის ამ საზოგადოების არსებობის შეწყვეტის ეტაპები, რომელთაგან პირველია დაშლა. აღნიშნული იწვევს სწორედ ცვლილებებს სსკ-ის ისეთ მუხლებში, რომელიც მანამდე ლიკვიდაციის პროცესთან დაკავშირებულ საგადასახადო საკითხებს არეგულირებდა. ცვლილებები შემდეგი სახისაა:

სსკ-ის 55-ე მუხლი (საგადასახადო ვალდებულების შესრულებას საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციისას) ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით. სათაურშივე გაჩნდა ცვლილება, კერძოდ განისაზღვრა, რომ ეს მუხლი განმარტავს საგადასახადო ვალდებულებას ლიკვიდაციისას, მათ შორის დაშლის პროცესის რეგისტრაციის შემთხვევაში. ცვლილებით განისაზღვრა, რომ ის ვალდებულებები, რაც აქამდე სალიკვიდაციო კომისიას ქონდა ამ პროცესში, უკვე ეკისრება თვითონ საწარმოს/ორგანიზაციას.

სსკ-ის 153-ე მუხლის (დეკლარაციის წარდგენა) მე-3 ნაწილი და 205-ე მუხლის (ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით. ცვლილების თანახმად, სალიკვიდაციო კომისიის ნაცვლად თავად დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება) არის ვალდებული, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს დაშლის შესახებ საგადასახადო ორგანოს და იმავე ვადაში წარუდგინოს მოგებისა და ქონების გადასახადების დეკლარაციები. ცვლილებამდე, საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში იყო ამ დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება.

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2023 წლის 5 აპრილის კანონის მიხედვით.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

### ფიზიკური პირის მიერ აქტივის რეალიზაციის დაბეგვრა

მოცემული ცვლილების დოკუმენტით ასევე განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება სსკ-ის 135-ე და 153-ე მუხლებში, რომელიც ძალაშია 2023 წლის 19 აპრილიდან, ხოლო მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან განხორციელებულ ოპერაციებზე. კერძოდ, აღნიშნულ მუხლებს დაემატა ახალი ნაწილები, რომლის თანახმადაც, არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პერიოდად კალენდარული წლის ნაცვლად განისაზღვრა კალენდარული თვე. შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია  წარადგინოს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

# ცვლილება კანონში

### საბაჟო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 18 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 19 აპრილიდან. ცვლილება შეეხო საბაჟო კოდექსის საკმაოდ ბევრ მუხლს, ტერმინთა განმარტებიდან დაწყებული, საბაჟო ვალდებულებითა და მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკითხებით დასრულებული.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.